კინგსის ქართული ენის ოლიმპიადა - I ტური

XII კლასი

I სავარჯიშო – ტექსტის გააზრება შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ,ან გ (20 ქულა)

ცამეტი მამა (ლევან სანიკიძე)

1. ისინი მოვიდნენ შუამდინარეთიდან, ასურეთიდან, VI საუკუნის შუაგულში.მოვიდნენ, ვითარცა საქრისტიანო–სარწმუნოებრივი მოღვაწენი, სულიერი განმანათლებელნი და ზნეობრივი განმამტკიცებელნი.
2. იოანე შუამდინარეთიდან იყო, ტომით ქართველი.მშობლები არ ახსოვდა. იყო დიდად განათლებული და ღრმა სათნოებით შემკობილი.იყო ბრძენი აქიმ–მკურნალი და ,,ეშმაკეულთა მჩხიბავი".ყმაწვილობიდანვე მშობლიური სოფელი მიატოვა და შორს, უკაცრიელ უდაბნოში ბერული ცხოვრება დაიწყო. ცხოვრობდა დიდის მარხულობითა და თვითგვემით. აქვე დაიმოწაფა თორმეტი მოწაფე–მოციქული, ყველანი მისებრ ქართველნი.
3. ,,და მიიღო ბრძანება ანგელოზისა მიერ , რათა ათორმეტით მოწაფითურთ თვისით წარვიდეს ქართლად." ასედაც მოიქცა. მოვიდა და მოიყვანა მცხეთაში თორმეტი მოწაფე: სულ– ,,ცამეტი მამა".თვითონ იოანე ავიდა და სამოღვაწეოდ დადგა არაგვის მარცხნივ, მცხეთის პირდაპირ, ზედაზენის მთაზე , აქედანვე წარმოსდგა მისი ზედსახელი–ზედაზნელი.
4. იოანემ თავისთან დაიტოვა ელია დიაკონი, ხოლო დანარჩენნი სამოღვაწეოდ გაგზავნა ქართლ–კახეთის სხვადასხვა კუთხეში. იოანემ ზედაზნის მთაზე მრავალი სასწაული ისასწაულა. წყალი არ იყო და წყალი გააჩინა.
5. ჯერ კიდევ ყოფილა კერპნი და ,,ეშმაკთა სიმრავლე" ზედაზენზე, და იოვანემ ის უკანასკნელი კერპებიც დაამსხვრია და ჯვრის ამაღლება– გამძლავრებით, ,,ეშმაკთა სიმრავლეც" სავსებით აღკვეთა.
6. დათვი მოდიოდა , ადამიანებს აშინებდა. იოანე ამ დათვს ტკბილად ,,გაესაუბრა" და ის დათვნი მოთვინიერდნენ. მოჰყავდათ ავადმყოფები, ტანგარღვეულნი და სულგანრღვეულნი და იოანე სასწაულებრივი მკურნალობით კურნავდა მათ. იცოცხლა ღრმა მოხუცებამდე. სიკვდილის წინ მოწაფეები შემოიკრიბა, დაარიგა და დამოძღვრა. დაკრძალეს იქვე – ზედაზენზე.

1) რა არის პირველი აბზაცის მთავარი სათქმელი ?

ა) საუბარია ცამეტი ასურელი მამის საქართველოში შემოსვლის შესახებ;

ბ) ქრისტიანობის გავრცელების შესახებ;

გ) საუბარია V საუკუნის საქართველოს შესახებ;

2) პირველი აბზაცის მიხედვით, რომელ საუკუნეში შემოვიდა ცამეტი ასურელი მამა საქართველოში?

ა) V საუკუნის დასაწყისში; ბ)IV საუკუნის 30–იან წლებში; გ) VI საუკუნის 50–იან წლებში;

3) რა არის მეორე აბზაცის მთავარი სათქმელი ?

ა) მკითხველს გააცნოს იოანეს მშობლების ვინაობა;

ბ) მკითხველს გააცნოს იოანეს ცხოვრება;

გ) ისაუბროს იოანეს განსაკუთრებულ სწავლისმოყვარეობაზე;

4) რა არის მესამე აბზაცის მთავარი სათქმელი ?

ა) იოანე სამოღვაწეოდ დადგა ზედაზნის მთაზე;

ბ)მკითხველს გააცნოს მცხეთაში არსებული ვითარება;

გ) მკითხველს გააცნოს საქართველოს იმდროინდელი ვითარება;

5) რა აკავშირებს მეორე და მესამე აბზაცს ერთმანეთთან?

ა) ამ აბზაცებს საერთო არ აქვს;

ბ) მესამე აბზაცი აგრძელებს მეორე აბზაცში გამოთქმულ აზრს;

გ) მესამე აბზაცი აბუნდოვნებს მეორე აბზაცში გამოთქმულ აზრსის;

6) მეოთხე აბზაცის მიხედვით ვინ მოღვაწეობდა იოანესთან ერთად ზედაზნის მთაზე?

ა) ლუკა ბ) დავითი გ) ელია

7) რომელ სასწაულზეა საუბარი მეოთხე აბზაცში?

ა) იოანეს მიერ წყლის გაჩენა; ბ) ბრმისთვის თვალის ახელა; გ) დავრდომილის აღდგინება;

8) რა არის მეხუთე აბზაცის მთავარი სათქმელი ?

ა) საუბარია ,,ეშმაკთა სიმრავლის“ ძლევაზე;

ბ) საუბარი იოანეს სათნოებაზე;

გ) საუბარი იოანესა და მისი ძმების ურთიერთობაზე;

9) სად არის დაკრძალული იოანე?

ა) მცხეთაში ბ) შუამდინარეთში გ) ზედაზენზე

10) რა არის ტექსტის მთავარი სათქმელი ?

ა) ისაუბროს შუამდინარეთიდან შემოსული იოანე ზედაზნელის შესახებ;

ბ) მკითხველს გააცნოს ქართლის იმდროინდელი ვითარება;

გ) ისაუბროს მცხეთაში არსებული ქრისტიანული კერების შესახებ;

II სავარჯიშო – შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (20 ქულა)

11) რომელი ფრაზეოლოგიზმი შეესაბამება წინადადებაში ხაზგასმულ სიტყვას?

„აქ ცხოვრობდა და მარტოდმარტო მწყემსავდა თავის ფარას ვეება დევკაცი, რომელიც <u>განთქმული იყო</u> თავისი სიძლიერით.”

ა) ყურის გდება ბ) ნემსებზე ჯდომა გ) სახელის გავარდნა

12) რომელი სინონიმი შეესაბამება წინადადებაში ხაზგასმული სიტყვას ?

„კომედია დრამატული ჟანრის, ანუ სცენაზე დასადგმელად <u>გამიზნული</u> ნაწარმოებია.”

ა) განკუთვნილი ბ)წარმოჩენილი გ) ვითარება

13) რომელი სიტყვაა სალბუნის სინონიმი?

ა) მალამო ბ) დარდი გ) აბრეშუმი

14) შემოხაზეთ მოცემული ფრაზეოლოგიზმის მართებული მნიშვნელობა: *ნავსი გატყდა ანუ*

ა) პირობა დაარღვია ბ) გზა გამოჩნდა ხსნისა გ) ნებისყოფამ უმტყუნა

15) წინადადებაში ხაზგასმულ სიტყვას შეურჩიე შესაბამისი ანტონიმი:

„ნატრობდა, ეს <u>დღეც</u> მალე გასულიყო.”

ა) ღამე ბ) უკუნი გ) წყვდიადი

III სავარჯიშო – შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (60 ქულა)

16) რა სახის სინტაქსური ურთიერთობაა ხაზგასმული სინტაქსური წყვილის წევრებს შორის?

<u>„დედის ცრემლი</u> შვილს გულზე მალამოსავით ედებოდა.”

ა) შეთანხმება ბ) მირთვა გ) მართვა

17) რომელი მეტყველების ნაწილითაა გადმოცემული ქვემდებარე წინადადებაში?

„მზე მთის წვერს ანათებდა.”

ა) ზედსართავი სახელი ბ) არსებითი სახელი გ) რიცხვითი სახელი

18) მრავალწერტილის ნაცვლად ზმნას <u>აშენებს</u> შეურჩიე სათავისო ქცევის ფორმა:

„თაგვი საკუჭნაოს მიწაში .....”

ა) უშენებს ბ) აშენებინებს გ) იშენებს

19) რომელი არ არის ზედსართავი სახელი?

ა) მეგობრული ბ) გუშინდელი გ) ხარაზი

20) რომელ წინადადებაშია რიცხვითი სახელი წარმოდგენილი მართებულად?

ა) ის მე–20 საუკუნეში მოღვაწეობდა

ბ) დავით IV–ემ მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარა

გ) IV კლასიდან V–ეში გადასვლა არც ისე იოლია

21) ჩამოთვლილთაგან რომელია კუთვნილებითი ნაცვალსახელი?

ა) რომელიმე ბ) არავინ გ) თქვენი

22) რომელ წინადადებაშია დასმული მართებულად სასვენი ნიშნები?

ა) ქალაქში ჭორი დადის, ასეთი სიცხე გლობალური დათბობის შედეგია.

ბ) თითქოს, ცოტათი დამორცხვებულმა, თითით აჩიჩქნა მიწა, და მერე მიპასუხა.

გ) სანამ, იმ საშინელ ამბავს მეტყოდა ყველაფერი რიგზე იყო.

23) ჩამოთვლილთაგან რომელია მცდარი?

ა) ვებგვერდი ბ) ინტერნეტ–სივრცე გ) ინტერნეტსაიტი

24) როგორია მოცემული წინადადება აგებულების მიხედვით?

„სოლომონი დღემდე კარგად ეპყრობოდა ჯორს, მაგრამ დღეს კი ტყუილუბრალოდ დასაჯა."

ა) მარტივი გავრცობილი ბ) შერწყმული გ) რთული თანწყობილი

25) რომელ წინადადებაში არ არის სტილისტური ხარვეზი?

ა)ხშირად იმეორებდა მამის მცნებას.

ბ) აბონიმენტთან დაკავშირება ვერ ხერხდებოდა.

გ) სოფელი მოურავის ძალაუფლების ქვეშ იმყოფებოდა.

26) რომელ კითხვას უპასუხებს ირიბი დამატება?

ა) როგორ? ბ) ვის? გ) როგორი?

27) სად? საიდან? საითკენ? სადამდე?

ა) დროის გარემოების კითხვებია.

ბ) ადგილის გარემოების კითხვებია.

გ) მიზნის გარემოების კითხვებია.

28) რომელია სწორი ფორმა?

ა) ჩვენს სამშობლოს ბ) შენად მეგობრად გ) ჩვენ მეგობარს

29) რამდენპირიანია ზმნები : აუკრძალა, წაუღო, შემოუთვალა.

ა) ერთპირიანი ბ) ორპირიანი გ) სამპირიანი

30) რომელია განსაზღვრებითი ნაცვალსახელის სწორი დაწერილობა?

ა) თითოეული ბ) თვითოეული გ) თვითეული

ბონუს-სავარჯიშო: შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა ბ ან გ (15 ქულა)

1. **რას გამოხატავს ზმნა?**

ა) საგნის ვინაობას ან თვისებას ბ) საგნის ნიშანს ან რაობას გ) საგნის მოქმედებას ან მდგომარეობას

2. **ფუძის შუიდან ხმოვნის ამოვარდნას ჰქვია?**

ა) კუმშვა ბ) კვეცა გ) ბგერის გადასმა

3. **რომელ ბრუნვაშია წინადადებაში ხაზგასმული სიტყვა:** *,,<u>მთებს</u> ჩაუცვიათ შავები".*

ა) სახელობითში ბ) მიცემითში გ) ნათესაობითში

4. **შესაბამის ბრუნვაში რომელ სიტყვაში მოიყრის თავს ორი „ი"?**

ა) ამბიცია ბ) ბალადა გ) მარტი

5. **რომელია კრებითი სახელი?**

ა) კერვა ბ) ფარა გ) ფუტკარი